პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 235
(3974)

1969 წ.
2 დეკემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდები

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. უნგრეთის ძალოსნობის ვეტერანმა, 31 წლის ი. ფიოლდიმ კვლავ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი სამჭიდში მჩატე წონის ათლეტთათვის. ქვეყნის გუნდურ პირველობაში მან 370 კგ (127,5+105+137,5) დააგროვა, რაც 2,5 კგ-ით მძიმეა საბჭოთა ძალოსან გ. ჩეტინის შარშან დამყარებულ რეკორდზე.

[illegible]
დასაბეჭდად
მზად იყო...

ტროლჰეტანი, 1 დეკემბერი. სკანდინავიის ღია ჩემპიონატში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა გუნდურ ტურნირში ქალთა წარმატებას კიდევ ორი გამარჯვება დაუმატეს პირად შეჯიბრებებში. გომოზკოვმა და ამელინმა ვაჟთა წყვილების ფინალურ მატჩში დაამარცხეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — შვედები ჰ. იოჰანსონი და ალსერი — 14:21, 21:18, 21:19, 17:21, 21:18. გომოზკოვმა და მისმა თანაგუნდელმა რუდნოვამ ყველას აჯობეს შერეულ წყვილებში. ფინალში მათ ფარ-ხმალი დააყრევინეს დიანა და ებერჰარდ შელერების (გფრ) ოჯახურ დუეტს — 21:17, 19:21, 22:20, 18:21, 21:13. ქალთა წყვილებში რუდნოვა და პოღოსოვა ფინალში დამარცხდნენ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებთან — რუმინელებთან ალექსანდრუსა და მიხალკასთან — 21:19, 14:21, 19:21, 21:12, 12:21.

ერთეულთა თანრიგებში საბჭოთა სპორტსმენები ნაკლები წარმატებით გამოვიდნენ. ქალებში უძლიერესი იყო ა. შიმონი (გფრ), ვაჟებში კი 16 წლის უნგრელი მოსწავლე ტ. კლამპარი. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ მატჩში ევროპის ექს-ჩემპიონს ჰ. იოჰანსონს აჯობა — 21:10, 15:21, 12:21, 21:12, 21:18.

ამგვარი ტურნირების დებიუტანტი, ოდესელი მოსწავლე ა. საპრიკინი ქაბუკთა შორის ასპარეზობდა. იგი ფინალამდე მივიდა, აქ კი შვედ თანატოლთან ა. იოჰანსონთან წააგო — 14:21, 17:21.

ფრე
რუმინელებთან

გორი, 30 ნოემბერი. აქ შედგა უეფა-ს ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ფეხბურთელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ სველ, ატალახებულ მინდორზე ვერ შეძლეს მისი გამოყენება და დასჯერდნენ ფრეს — 0:0 (მანამდე ნაკრებმა საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა გორის „დილასთან“ და დამარცხდა ანგარიშით 2:4).

როგორც ცნობილია, ტურნირის პირველი შესარჩევი მატჩი პოლონეთის ნაკრებს საბჭოთა ჭაბუკებმა მოუგეს ანგარიშით 3:0. ახლა მათ 3 ქულა აქვთ.

უხეირო სტარტი

კაირო, 30 ნოემბერი. არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში ტურნეს სტარტი თბილისის „დინამომ“ უხეიროდ აიღო: „აგლის“ ფეხბურთელებთან გამართული პირველი მატჩი სტუმრებმა წააგეს ანგარიშით 1:3 (1:1).

ერთადერთი ბურთი მასპინძელთა კარში 32-ე წუთზე კუტიევამ გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ჩემპიონის სასტიკი მარცხი
როცა ძალა აღმართს ხნავს
პირველი ქულა
დარჩა მხოლოდ ორი გუნდი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ სსრ კავშირის ჩემპიონსა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ ცსკა-ს უმასპინძლა. ძველი მეტოქეების შეხვედრა თავიდანვე მძაფრი და შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა. დაახლოებით მე-10 წუთიდან დაწინაურდნენ მასპინძლები, შემდეგ კი მათი უპირატესობა აშკარა გახდა. შესვენების წინ არმიელებმა ანგარიშში სხვაობა ერთგვარად შეამცირეს, მაგრამ ტაიმი მაინც 9 ქულით წააგეს — 23:32.

შესვენების შემდეგ მდგომარეობის გართულების მიზნით მოსკოველებმა პრესინგს მიმართეს, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ამ ტაქტიკურ ხერხს „სტროიტელი“ უკეთ ყოფილა დაუფლებული — პრესინგმა საბოლოოდ გამოაცალა ნიადაგი ჩემპიონს. შეხვედრის ბოლო წუთებში არმიელებს ვეღარ იცნობდით: ეს იყო უინიციატივო, მარცხს შეგუებული კოლექტივი, რომელიც მხოლოდ ერთს ნატრობდა: რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა მოედანი. სსრ კავშირის ჩემპიონმა თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მწარე მარცხი იწვნია — 53:69.

გამარჯვებულთა შორის საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა გუნდის ვეტერანმა ვალტინმა. სხვათა შორის, იგი ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ამ დღეს — 20 ქულა. სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანდრეევმა (ცსკა) თავის კოლექტივს 18 ქულა შესძინა.

• • •

კაუნასი. „ჟალგირისისთვის“ საკავშირო ჩემპიონატის სტარტი თავისებური ანგარიშსწორებაა თბილისის გუნდებთან შარშანდელი მარცხის გამო. ლიტველი კალათბურთელების მდგომარეობა ჯერჯერობით უფრო სახარბიელო გახლდათ, ვინაიდან ისინი მეტოქეებს შინ იღებდნენ.

„დინამოსთან“ შეხვედრაში, რომელიც „ჟალგირისმა“ 9 ქულის უპირატესობით მოიგო, თავი გამოიჩინეს პაულაუსკასმა და მისმა სამმა „თანაშემწემ“: სარპალიუსმა, ვენსბერგასმა და ბუდნიკასმა. ამ ოთხეულმა თავის კოლექტივს 78 ქულა შესძინა (93-დან).

„ბურევესტნიკთან“ მატჩშიც გადამწყვეტი როლი ზემოჩამოთვლილმა კვარტეტმა ითამაშა. თბილისელები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ძალამ და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. ესეც არ იყოს, სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს კაუნასელთა ორ ცენტრალურ თავდამსხმელს ვენსბერგასს (202 სმ) და ბუდნიკასს (204 სმ). ორთაბრძოლის შედეგია 80:73 (38:32) „ჟალგირისის“ სასარგებლოდ.

• • •

ალმა-ათა. „ლოკომოტივმა“ სამი მატჩი ჩაატარა სტუმრად და სამივეჯერ დამარცხდა. ცხადია, გუნდისთვის, რომელიც მთავარ მიზნად უმაღლეს ლიგაში დარჩენას ისახავს, ეს საგანგაშო სიგნალი იყო. და აი, ალმაათელებს გუშინწინ, როგორც იქნა, შინ თამაშის საშუალება მიეცათ. პირველივე შეხვედრამ ცხადყო, რომ სტუმრად მყოფ გუნდსა და შინ მოთამაშეს შორის ერთობ დიდი განსხვავებაა. ამის საბუთია შეხვედრის შედეგი: „ლოკომოტივმა“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია მოსკოვის „დინამოს“ (91:89) და სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა. პირველი ტაიმიც მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 59.49.

• • •

სვერდლოვსკი. კიდევ უფრო პრინციპული ხასიათისა იყო ადგილობრივი „ურალმაშისა“ და რიგის არმიელთა შეხვედრა. როგორც ცნობილია, ამ გუნდებმა ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყეს და სატურნირო ცხრილში ვერც ერთი ქულა ვერ ჩაიწერეს. გუშინწინ ერთ-ერთ გუნდს ბოლოს და ბოლოს გამარჯვება უნდა ეზეიმა. ბედმა სტუმრებს გაუღიმათ: შეუპოვარ ბრძოლაში მათ მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს — 88:87 (50:44).

ახლა მხოლოდ ორ გუნდს არა აქვს არც ერთი მოგება. ესენი არიან „ურალმაში“ და მოსკოვის „დინამო“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	2	2	0	248—218	2
ცსკა	3	2	1	253—211	2
სკა (კიევი)	3	2	1	250—215	2
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	2	2	0	178—157	2
„სტროიტელი“ (კიევი)	3	2	1	234—220	2
„დინამო“ (თბილისი)	3	2	1	229—234	2
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	4	2	2	295—332	2
„კალევი“ (ტარტუ)	2	1	1	163—164	1
სკა (რიგა)	3	1	2	224—230	1
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	4	1	3	330—366	1
„დინამო“ (მოსკოვი)	2	0	2	157—176	0
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	4	0	4	314—352	0

20 45

◆ **ბაღდადი, 1 დეკემბერი.** ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელთა გუნდმა წარმატებით დაიწყო ტურნე ერაყში: ანგარიშით 3:1 (1:0) დაამარცხა პოლიციის ნაკრები. ყველა გოლი სტუმრებმა გაიტანეს: მეტოქეთა კარში — სმოლნიკოვმა, ტუაევმა და რახმანოვმა, საკუთარში — მცველმა რაგიმოვმა.

◆ **ბელგრადი,** 1 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტრადიციულ მეჯიბრებაში — „განთავისუფლების ტურნირში“ 3 ტურის შემდეგ ლიდერობს იუგოსლაველი მატულოვიჩი — 2,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლენდიელი (უნგრეთი) და სათლზი (კანადა). ამავე დროს, ამ მოჭადრაკეებს თითო გადადებული პარტია აქვთ. ტურნირში სამი საბჭოთა დიდოსტატი მონაწილეობს. პოლუგაევსკის ორი ყაიმი და ერთი გადადებული პარტია აქვს, ბოტვინიკი ორჯერ დამარცხდა (გელერთან და ლენდიელთან) და ერთხელ ყაიმს დასჯერდა, გელერმა კი ერთი შეხვედრა მოიგო, ერთიც წააგო (იუგოსლაველ ოსტოიჩთან), თანაც, მას ერთი გადადებული პარტია აქვს.

◆ **რიიჰიმიაკი** (ფინეთი), 1 დეკემბერი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევი მატჩი მოუგო ფინეთის ეროვნულ გუნდს — 33:19 (17:14) და 16 ფინალისტს შორის დაიკავა ადგილი.

◆ **ბელგრადი,** 1 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში ზაგრების „მლადოსტის“ წყალბურთელებმა ანგარიშით 5:3 აჯობეს იტალიის ჩემპიონს „პრო რეკოს“ (გენუა). მეტოქეთა კარში ბურთები შეაგდეს მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონებმა პოლიაკმა (2), ბონაჩიჩმა და ლოპატნიმ, აგრეთვე, შატოშიჩმა. საპასუხო გოლების ავტორები არიან ჯიბელინი, პიცო და ჩევასკო. საპასუხო მატჩი 6 დეკემბერს გაიმართება გენუაში. თუ „პრო რეკო“—თასის მფლობელი 1964 წელს — შინ რევანშს აიღებს, მოეწყობა მესამე, დამატებითი ორთაბრძოლა, რომლის ჩატარების ვადასა და ადგილზე გუნდებმა წინასწარვე მოილაპარაკეს. 13 დეკემბერი, ჟენევა.

◆ **დამასკო, 1 დეკემბერი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა გუნდმა ამხანაგური მატჩი მოუგო სირიის ნაკრებს — 2:1. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს შალიჩევმა და ლარინმა.

◆ **მოსკოვი,** 1 დეკემბერი. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დღეს დაიწყო ჰოკეისტთა III ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, შვეციის, ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. პირველ მატჩში საბჭოთა ჰოკეისტებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს გდრ-ის წარმომადგენლებს — 4:3. გვიან საღამოს დამთავრდა ჩეხოსლოვაკიელთა და კანადელთა შეხვედრა.

◆ **ბამაკო, 1 დეკემბერი.** რსფსრ-ს ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა გუნდმა აქ დაამარცხა მალის დედაქალაქის ნაკრები — 2:1.

[illegible]

● **ხარკოვი,** 29 ნოემბერი. გუშინ ადგილობრივ საჭადრაკო-სამშაშო კლუბში დაიწყო რუსულ შაშში ოსტატ ი. ავგუსტინაიტესა (ვილნიუსი) და ოსტატობის კანდიდატ ე. მიხაილოვსკაიას (მოსკოვი) მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე. საკავშირო პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. ახლა ხარკოვში გაირკვევა, ვინ უფრო ძლიერია. დღევანდელი შეხვედრა მიხაილოვსკაიამ ძალიან აგრესიულად დაიწყო, მერე მეტოქეს მრავალრიცხოვანი გაცვლები შესთავაზა, ცენტრში ძლიერი პოზიცია დაიკავა და გაიმარჯვა.

● **ბელგრადი,** 29 ნოემბერი. აქ გაიმართა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის — „ოქროს ხელთათმანების“ პირველი ბრძოლები. ევროპის ჩემპიონმა ვ. ფროლოვმა (63 კგ) დაამარცხა იუგოსლაველი ნოვაკოვიჩი (არბიტრმა უკვე მეორე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა), ვ. ტარასენკოვმა (75 კგ) სძლია რუმინელ ოლტიანუს, ხოლო ა. ვასიუშკინმა (მძიმე წონა)—იუგოსლაველ მილიჩს. საბჭოთა მოკრივეთაგან მხოლოდ რაზუმოვმა იწვნია მარცხის სიმწარე — ტექნიკური ნოკაუტით წააგო შეხვედრა ნიკოლიჩთან (იუგოსლავია).

● **ინცელი,** 29 ნოემბერი. საციგურაო სპრინტში მსოფლიო რეკორდსმენი ე. კელერი (გფრ) სტარტიდან სტარტამდე უმატებს სისწრაფეს. აქაურ ხელოვნურ ბილიკზე გამართულ ბოლო შეჯიბრებაში 500 მ მან 39,8 წამში გაირბინა, რაც მის მსოფლიო რეკორდს 0,6 წამით ჩამორჩება. დასავლეთგერმანელი მოციგურავის შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა წლეულს.

● **ჟენევა, 29 ნოემბერი.** 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში ქალთა და ვაჟთა შორის შვეიცარიაში გაიმართება. ასე გადაწყვიტა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) აქ გამართულმა კონგრესმა. მსოფლიო ჩემპიონატი ველოკროსში ჰოლანდიაში მოეწყობა. მომავალი პირველობების ჩატარების ზუსტი ვადები და ადგილები ჯერ დაუდგენელია.

● **ამანი,** 29 ნოემბერი. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში დაამარცხა იორდანიის ჩემპიონი „ალ-ფეისალი“ — 5:1.

● **ბერლინი,** 29 ნოემბერი. „ინტერკიზიის“ თასის აქ გამართულ მეორე გათამაშებაში მონაწილეობა მიიღეს მხატვრული ტანვარჯიშის პოლონელმა, უნგრელმა, ბულგარელმა, საბჭოთა და გდრ-ის ოსტატებმა. ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა მ. გიგოვამ, რომელმაც დამსახურებულად მოიხვეჭა ეს პრიზი. სამი ვარჯიშის (რგოლით, სახტუნელით და უსაგნოდ) ჯამში მან 29 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა ნორჩმა ოსტატმა ტანმოვარჯიშემ გ. შუგუროვამ (28,85 ქულა), ხოლო III — უნგრელმა მ. პატოჩკამ. როგორც შარშან სოფიაში (სხვათა შორის, ინტერკიზიის თასის გათამაშება ბულგარეთის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თაოსნობით ტარდება), წლეულსაც ბრწყინვალედ გამოვიდა 15 წლის ასტრახანელი მოსწავლე ი. ლეონტიევა. მან კვლავ მოიპოვა პრიზი იუნიორთა შორის — 19,05 ქულა (2 ვარჯიში).

● **პრაღა, 30 ნოემბერი.** ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების მეხუთე შეხვედრა მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა — 5:5. გუნდები მოსკოვს გაემგზავრნენ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ.

● **პალმა-დე-მალიორკა,** 30 ნოემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს VII ტურის შემდეგ 5 ქულით სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, რომელმაც 38-ე სვლაზე დაამარცხა ინგლისის ჩემპიონი ჯ. პენროუზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლენინგრადელ ვ. კორჩნოის, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერს, შეუძლია არა მარტო დაეწიოს, არამედ გაასწროს კიდეც პეტროსიანს. ამ საკითხს გადაწყვეტს ამ ტურში დანიელ ბ. ლარსენთან გადადებული პარტიის შედეგი. მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი მე-18 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ბულგარელ მ. ბობოცოვს და ახლა 4 ქულით V ადგილზეა. ჩეხოსლოვაკიელ ვ. ჰორტს 4,5 ქულა აქვს, ხოლო ტურნირის ამასწინანდელ ლიდერს, ახალგაზრდა ბრაზილიელ ე. მეკინგს — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

● **ზაგრები,** 30 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებით მატჩში ადგილობრივი „ლოკომოტივის“ ხელბურთელ ქალთა გუნდი მასპინძლობდა კაუნასის „ჟალგირისს“. თავიდანვე დაწინაურდნენ მასპინძლები და უკვე მე-18 წუთზე ანგარიში იყო 3:1. შემდგომში საბჭოთა სპორტსმენებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 8:8. ვინაიდან პირველ მატჩში კაუნასელებმა გაიმარჯვეს (15:10), გათამაშების შემდგომ წრეში, ცხადია, ისინი გავიდნენ.

● **ჩელიაბინსკი,** 30 ნოემბერი. 540 „კლასიკოსი“ ჩაება საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, მფრინავ-კოსმონავტის ვ. კომაროვის მემორიალში. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ჩელიაბინსკი, 2. კიროვი, 3. ომსკი. გამარჯვებულ მოჭიდავეებს ჯილდოებს გადასცემდა კომაროვის დუბლიორი, საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი მფრინავი ე. ხრუნოვი.

ფიზიკური თვისებებისა და უნარის შესახებ

ჩვენი აზრით, ზოგიერთი ტერმინი, რომელიც დღეს გამოიყენება ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკაში, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ შინაარსის ადეკვატურად, რასაც იგი უნდა გამოხატავდეს. ეს ტერმინები დაზუსტებასა და გაუმჯობესებას მოითხოვენ.

ერთ-ერთი ყველაზე სადავოა ადამიანის „ფიზიკური თვისებების" თვით ცნების საკითხი. საკმარისია ითქვას, რომ 1959 წელს საგანგებოდ ამ მიზნით მოწვეულმა სიმპოზიუმმაც კი ვერ შეიმუშავა ერთობლივი აზრი და წამოაყენა მთელი რიგი ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულებები, რომელთაგანაც ვერც ერთს ვერ მივანიჭებთ უპირატესობას.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ, პირველ ყოვლისა, ორი ტერმინის — „უნარიანობისა" (способность) და „თვისების" (качество) დაზუსტების აუცილებლობაზე, აგრეთვე, სიმარჯვის ფიზიკური თვისებებისადმი მიკუთვნების მიზანშეწონილობის საკითხზე.

იდენტურია თუ არა ზემოხსენებული ორი ცნება? სპეციალურ ლიტერატურაში ისინი დღეს ფაქტიურად გათანაბრებულია. საკმარისია ითქვას, რომ ფიზიკური თვისებები თითქმის მუდამ უნარადაა მიჩნეული. ავტორების უმეტესობა „უნარს" გულისხმობს, როგორც ადამიანის გარკვეულ შესაძლებლობებს, მაგრამ ბევრჯერ ამავე ცნებაში იგულისხმება მოქმედების შესრულების თვისობრივი მხარეც. მაგალითად, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის სახელმძღვანელოში (ავტორი ვ. ზაციორსკი) ნათქვამია: „ფიზიკურ (მოძრაობით) თვისებებს უწოდებენ ადამიანის მოძრაობის შესაძლებლობათა ცალკეულ თვისობრივ მხარეებს". იქვეა ნათქვამი ძალის, სიმარჯვის, სისწრაფის, ამტანობის შესახებ: „... გარეგან წინააღმდეგობათა კუნთური ძალის საშუალებით გადალახვის უნარი" „... დაღლასთან ბრძოლის უნარი" „... ახალი მოძრაობების სწრაფად დაუფლების უნარი" „... მოძრაობის მოულოდნელად ცვალებადი გარემოს შესაბამისი მოთხოვნების შესაფერისად სწრაფად გარდაქმნის უნარი". როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში თვისება და შესაძლებლობა გაიგივებულია.

იმავე ავტორის მონოგრაფიაში „სპორტსმენის ფიზიკური თვისებები" ფიზიკური (მოძრაობით) თვისებების საერთო განმარტება დაყვანილია მხოლოდ „ადამიანის მოძრაობით შესაძლებლობათა ცალკეულ მხარეებამდე".

ა. ტერ-ოვანესიანი წიგნში „სპორტი" მოძრაობით თვისებებში მხოლოდ ადამიანის უნარს გულისხმობს.

ვნახოთ, როგორაა განმარტებული ამტანობა ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის სახელმძღვანელოში: „დაღლის გაძლების უნარი რაიმე მოქმედებაში".

შეიძლება თუ არა ეს ტერმინი მთლიანად მცდარად მივიჩნიოთ? ალბათ, არა. გარკვეულ დონემდე იგი საკმაოდ ნათლად ასახავს საქმის არსს. ამასთან, მოდით, ეს ტერმინი კრიტიკულადაც შევაფასოთ. როცა ადამიანის უნარზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ, რომ რაიმე ახალი მოქმედების ათვისების ან განვითარების პროცესმა მოცემულ ინდივიდში შეიძლება მიგვიყვანოს უფრო დიდ მაჩვენებლამდე, უფრო სწრაფ, ან იოლ ათვისებამდე, ვიდრე სხვა ადამიანში, რომელსაც ასეთი უნარი არა აქვს. როცა თვისებაზე ვლაპარაკობთ (ვთქვათ, იმავე ამტანობაზე) და ამ თვისების მქონე ინდივიდს ვახასიათებთ, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ, რომ ეს თვისებები (და არა მხოლოდ უნარი) უფრო ფართოდ გამოვლინდება. აქედან გამომდინარე, ცნება „უნარი", როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ახასიათებს ათვისების ან განვითარების პროცესის მიმდინარეობას, ესე იგი, ეხება თვით პროცესს, ცნება „თვისება" კი რაღაც უკვე ჩამოყალიბებულზე მიგვანიშნებს, უკვე მიღწეულის მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში შეიძლება სჯობდეს, რომ ამტანობა განვიხილოთ არა როგორც უნარი, არამედ როგორც უკვე დაღლის გაძლების თვისება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანის უნარი სწორედ რაიმე მოქმედების (რასაკვირველია, გარკვეული სირთულის) დაუფლების „შესაძლებლობაა" (პოტენციალი) შესაბამისი პირობების დროს. მაგალითად, თუ ადამიანს ძალისმიერი ვარჯიშების შესრულების უნარი აქვს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უკვე ღონიერია, არამედ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მას უნარი აქვს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფიზიკური აღზრდის პროცესი სწორადაა ორგანიზებული, ან თუ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში აქცენტი უმეტესად ძალისმიერი მოძრაობების შესრულებაზეა გადატანილი.

ამას ფსიქოლოგების შეხედულებაც ადასტურებს. მაგალითად, ა. იარმოლენკო კრებულში „მიდრეკილებანი და შესაძლებლობანი" ამბობს: „XX საუკუნის დასაწყისში ფსიქოტექნიკამ სწორედ ეს უნარი გამოიკვლია, რათა გადაეწყვიტა თავისი რეალური ამოცანა — უმუშევართა არმიის უსაზღვრო რეზერვებიდან ყველაზე გამოსადეგების შერჩევა სამრეწველო შრომის კონკრეტული ფორმებისთვის" და შემდეგ: „უნარის განსაზღვრა და პროგნოზი აუცილებელია მომავალი პროფესიის არჩევისთვის, ახალგაზრდობის მიერ შრომითი გზის არჩევისთვის", „უნარი ადამიანის მტკიცე თავისებურებაა, რომელიც სწავლაში, შრომაში თუ სხვა მოქმედებაში ვლინდება და მისი წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს", „საბჭოთა სკოლის გარდაქმნა მოითხოვს ჩვენი ახალგაზრდობის უნარისა და პროფესიული მიმართულების გამოვლენის, აგრეთვე, ამ მიმართულების განსაზღვრის მეთოდების საკითხის შესწავლას", „... მოქმედების გარკვეული სახისადმი უნარის კონსტატაცია მოცემული იყო ამ მოქმედებაში ობიექტურ წარმატებათა საფუძველზე, მაგრამ შემდეგ ეს შეფასება არ დადასტურდა".

ვ. მიასიშჩევი იმავე კრებულში უნარს ასე განსაზღვრავს: „მაღალი მიღწევების მოპოვების შესაძლებლობა, დიდი სისწრაფე, სიმსუბუქე, შედეგების სიღრმე. მაგრამ ესაა პოტენციალი, რომელიც თანდათან ვლინდება და ვითარდება მოქმედების პროცესში".

ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ყოველ ადამიანს ახასიათებს გარკვეული შესაძლებლობანი, რომლებიც კონკრეტული სიტუაციების შესაბამისად მოქმედებაში სხვადასხვაგვარად ვლინდება.

რამდენადაც ადამიანის მოქმედებანი განსხვავებულია ორგანიზმზე ზეგავლენის ხასიათით, მათი მრავალგზის გამეორების შედეგად სხვადასხვა შესაძლებლობა (ე. ი. უნარი) სხვადასხვაგვარად ვლინდება და თანდათანობით თვისებად იქცევა. თვისებათა განვითარების ერთიანობაში ხან ერთი მათგანი, ვთქვათ, ძალა ვითარდება უფრო მეტად, ხან კი მეორე, მაგალითად, სისწრაფე ან ამტანობა. მაშასადამე, ფიზიკური თვისებები ესაა უკვე სხვადასხვა, მართლაც „მოძრაობით შესაძლებლობათა გამოვლენის თვისობრივი მხარე", ესე იგი, ადამიანის უკვე რეალიზებული უნარი, როცა იგი თვისებად იქცევა, მისთვის დამახასიათებელი ხდება და კონკრეტულ გამოსახულებაში ვლინდება. ამგვარად, მრავალგზის და მიზანდასახული გამეორების შედეგად ადამიანის შესაძლებლობანი უკვე მისთვის ჩვეულ თვისებად იქცევა, რომელიც ამავე დროს ვლინდება არა მხოლოდ ერთ რომელიმე შემთხვევაში, არამედ მისთვის უკვე დამახასიათებელი ხდება.

უნარი (შესაძლებლობა) და თვისება უნდა განვიხილოთ, როგორც მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულებანი (შესაძლებლობა — სინამდვილე), რომელშიც ნაგულისხმევია უნარის თვისებად ქცევა.

ამ აზრის დასადასტურებლად გამოდგება უნარის პირველი განმარტება რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში (პროფ. დ. უშაკოვის რედაქციით, ტომი IV, 1940 წ. გვ. 448): „ბუნებრივი ნიჭი, მიდრეკილება რაიმეს ათვისებისკენ, რაიმეს სწავლისკენ...". რაც შეეხება უნარის მეორე და მესამე განსაზღვრას (გვ. 449) მოძრაობით მოქმედებებთან დაკავშირებით, მათი ციტირებისგან თავს ვიკავებთ, რადგან ვშიშობთ, რომ ეს მეტ გაურკვევლობას გამოიწვევს.

როგორც ზევით უკვე იყო აღნიშნული, ფსიქოლოგიაში ადამიანის უნარს მკაფიოდ გამოყოფენ მისი განვითარების შედეგებისგან, ესე იგი, თვისებებისგან. „... ადამიანის უნარი ცოდნისა და შემძლეობის შეძენის მხოლოდ შესაძლებლობაა" (ბ. პეტროვსკის წიგნი „უნარი და შრომა"). „უნარი ადამიანის ისეთი ფსიქოლოგიური თავისებურებაა, რომელზეც დამოკიდებულია ცოდნის და შემძლეობის შეძენა, მაგრამ რომელიც თავად არ დაიყვანება ცოდნამდე და შემძლეობამდე", „უნარი ეს შესაძლებლობაა, ხოლო ოსტატობის აუცილებელი დონე ამა თუ იმ სახეობაში — უკვე რეალობაა".

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ერთია თავდაპირველი შესაძლებლობა (უნარი) და სულ სხვაა უკვე თვისებად ქცეული უნარი. ეს ცნებები უთუოდ უნდა განვასხვაოთ. ამგვარ განსხვავებულ განხილვას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ თეორიისთვის, არამედ სპორტული პრაქტიკისთვისაც. მაგალითად, იმის შედეგად, რომ „უნარისა" და „თვისების" ცნებათა დიფერენციაციის საკითხი ჯერჯერობით სერიოზულად არ დასმულა, დღემდე არა გვაქვს არსებული უნარის განსაზღვრის ზუსტი ხერხები. აქედან გამომდინარე, არა გვაქვს შესაბამისი კონკრეტული მითითებები, რაც მწვრთნელებსა და მასწავლებლებს დახმარებას გაუწევდა სპორტული სკოლებისთვის მოსწავლეთა შერჩევის დროს. რაკი ზემოხსენებული ცნებები არეულია, მწვრთნელი იძულებულია მოახდინოს თვისებათა განვითარების დონის ტესტირება იმ დროს, როცა ეს კი არა, უნარის ტესტირება სჭირდება. ჩვენს ტერმინოლოგიაში ასეთი გაურკვევლობა, როგორც ჩანს, საერთო მოვლენაა. ფსიქოლოგიაშიც „... შესაძლებლობათა დადგენის ამოცანა გადაუჭრელი რჩება" (ა. პეტროვსკი).

მეორე საკითხი: არის თუ არა სიმარჯვე ფიზიკური თვისება?

ცნობილია, რომ ფიზიკური აღზრდის (მათ შორის, სპორტული წვრთნის) მთელი კომპლექსი იყოფა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ შემადგენელ ნაწილებად: ფიზიკური თვისებების განვითარება ან, როგორც ბოლო დროს ამბობენ, აღზრდა, მოძრაობითი შემძლეობისა და ჩვევების ჩამოყალიბება და სრულყოფა. ჩვეულებრივ ეს პროცესი ერთობლივად ხორციელდება. მათი დაყოფა გამართლებულია მხოლოდ ფიზიოლოგიისა და სპეციალური პედაგოგიკის (ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის) თვალსაზრისით, რამდენადაც მათ საფუძველს სხვადასხვა ფიზიოლოგიური მექანიზმი შეადგენს და ისინი თავიანთი სპეციფიკური კანონების მიხედვით მიმდინარეობენ.

სპეციალურ ლიტერატურაში ძირითად ფიზიკურ თვისებებს აკუთვნებენ ძალას, სისწრაფეს, სიმარჯვესა და ამტანობას. ეს დებულება დაკანონებულია ფიზიკური აღზრდის საშუალებათა ამჟამად წამყვანად აღიარებულ კლასიფიკაციაშიც. ამასთან, ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების კომპლექსი, რაც უმეტესად სიმარჯვის განვითარებას უწყობს ხელს, სპეციალურ ჯგუფადაა გამოყოფილი.

სადღეისოდ, მიუხედავად ბევრი სირთულისა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რამდენადმე უკვე მივაღწიეთ ისეთი ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარების ასე თუ ისე ზუსტ გაზომვას, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, ამტანობა.

რისთვის გამოვყოფთ ამ თვისებებს? სპორტული პრაქტიკის დიდი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სპორტსმენის ფიზიკური და ტექნიკური მომზადების პროცესი მოითხოვს იმ გარკვეული პედაგოგიური ამოცანების დიფერენცირებას, რომლებიც ფიზიკური ვარჯიშების დახმარებით სრულდება. ეს ამოცანები რაღაც გარკვეულ ერთიანობაში წყდება, მაგრამ დიფერენცირება მაინც აუცილებელია, ვინაიდან თავად ვარჯიშების შერჩევაც და მათი ჩატარების მეთოდიკაც სპეციფიკურია. სხვა სიტყვებით, ზემოქმედება აქ მუდამ არჩევითი იქნება. თვით ცხოვრებამ გვიკარნახა, რომ, მაგალითად, ცნება „სისწრაფეში" აუცილებელია განვასხვაოთ: რეაქციის სისწრაფე, მოძრაობის სისწრაფე, განსაზღვრულ რგოლში გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე და ბოლოს, მთელი ტექნიკური ილეთის შესრულების სისწრაფე.

ამტანობა, როგორც ცნობილია, ზოგადიცაა და სპეციალურიც. შესაბამისად სპეციფიკურია და ერთმანეთისგან განსხვავდება მისი გამომუშავების საშუალებები და მეთოდებიც. და ბოლოს, იგივე შეიძლება ითქვას ძალის შესახებ. ერთია ძალის გამომუშავება მტყორცნელებში, მხტომელებში და ა. შ., სულ სხვა — მოჭიდავეებში, ძალოსნებში. ყველა ამ თვისების განვითარების პედაგოგიური პროცესის დაგეგმვის დროს მწვრთნელს შეუძლია დასახოს მათი გამოვლენის დონის ასე თუ ისე ზუსტი პროგრამა (საკონტროლო ვარჯიშები) გრადუალურ და მეტრულ ზომებში (წამები, სანტიმეტრები, კილოგრამები). ამას გარდა, ცნობილია შერჩევითი ზემოქმედების საშუალებათა მთელი არსენალი. შედეგად ხელთ გვაქვს როგორც ზემოქმედების რეალური საშუალებანი, ასევე ამ ზემოქმედების შედეგებზე კონტროლის რეალური გზები, რითაც შესაძლებელი ხდება პედაგოგიური პროცესის პროგრამირება.

მაგრამ, როგორც კი სიმარჯვეზე ჩამოვარდება სიტყვა, ყველაფერი ზემოთქმული თავის მნიშვნელობას კარგავს. სიმარჯვე საერთოდ გამოვარდნილია ამ გამომუშავებული სქემიდან. სიმარჯვის განსაზღვრისთვის არა გვაქვს არც მისი დონის გაზომვის მეთოდიკა, არც დამაჯერებელი საკონტროლო ვარჯიში ტესტირებისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია სიმარჯვის განვითარების პროგრამირება და კონტროლი. მისი დონის შეფასებაში ფაქტიურად მთავარი მნიშვნელობა მხოლოდ ვიზუალურ შთაბეჭდილებას ენიჭება.

უმეტეს შემთხვევაში სიმარჯვის განსაზღვრა იქამდეა დაყვანილი, რომ იგი ასე ესმით: „... ახალი მოძრაობების სწრაფად დაუფლებისა და მოულოდნელად ცვალებადი გარემოს მოთხოვნების შესაბამისი მოძრაობის სწრაფად გარდაქმნის უნარი" (თეორიის სახელმძღვანელო), ან „... კოორდინაციული თვალსაზრისით რთულ მოძრაობათა შესრულების უნარი, ზუსტად კოორდინირებული ერთი მოძრაობიდან მეორეზე გადასვლის უნარი, ახალი მოძრაობების სწრაფად წარმოქმნის უნარი გარემოს ცვალებადობით გამოწვეულ მოულოდნელად წამოჭრილ შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით (ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფიზიოლოგიური საფუძვლები, პროფ. ნ. ზიმკინის რედაქციით). აი, კიდევ რამდენიმე აზრი ამ საკითხზე: „სიმარჯვე — ესაა რთული კოორდინაციის მოძრაობითი მოქმედების შესრულების, აგრეთვე, მოულოდნელ სიტუაციებში სწრაფი და რაციონალური მოძრაობის უნარი" (ა. ტერ-ოვანესიანი), „სიმარჯვე შეიძლება განისაზღვროს, ჯერ ერთი, როგორც ახალი მოძრაობების დაუფლების უნარი (სწრაფად დასწავლის უნარი"), რაც საერთოდ არ შეადგენს სიმარჯვის ადეკვატურ ცნებას, და მეორე — როგორც ცვალებადი გარემოს მოთხოვნების შესაბამისად მოძრაობითი მოქმედების სწრაფად გარდაქმნის უნარი" (ვ. ზაციორსკი, „სპორტსმენის ფიზიკური თვისებები").

პროფ. ვ. ფარფელს სიმარჯვის ძირითად საზომებად მიაჩნია სივრცე და დრო, რომელთაც აქვთ „სიმარჯვის განვითარების სხვადასხვა საფეხური ან მხარეები", დაწყებული მოძრაობათა სივრცობრივი სიზუსტითა და კოორდინირებით (პირველი საფეხური), იგივე — შემჭიდროებულ ვადებში (მეორე საფეხური) და ბოლოს, „სიმარჯვის მესამე — უმაღლესი საფეხური ვლინდება უკვე არა სტანდარტულ, არამედ ცვალებად პირობებში". ესე იგი, ესაა მეორე საფეხურის გართულება... „ზუსტი მოძრაობების სწრაფად შესრულება მოულოდნელად შეცვლილ სიტუაციაში" (ვ. ფარფელი, „სპორტის ფიზიოლოგია").

ფაქტიურად, აქ ლაპარაკია მოძრაობითი ჩვევების ფორმირებასა და სრულყოფაზე, რაც ადამიანს ეხმარება სხვადასხვა, მათ შორის, გართულებულ პირობებსა და კომბინაციებში (ნაერთებში). თავად ფარფელი აღნიშნავს, რომ „სიმარჯვეს უფრო მეტად, ვიდრე სხვა თვისებებს, საფუძვლად უდევს მოძრაობითი ანალიზატორის შესაბამისი განვითარება, ესე იგი, მაღალგანვითარებული კუნთობრივი გრძნობა და დროებითი კავშირების სიუხვე დიდი ნახევარსფეროების ქერქის სამოძრაო ზონაში".

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ცნება „სიმარჯვეს" სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ზოგიერთნი მას ერთ-ერთ ძირითადად მიიჩნევენ (ლ. მატვეევი, ვ. ბელინოვიჩი). მატვეევისა და ბელინოვიჩის აზრი ამ საკითხზე უფრო იმ დროის შეხედულებათა ასახვაა და არა საკუთარი კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნა. ფარფელი, ზაციორსკი და სხვები ამას გარდა ამტკიცებენ, რომ სიმარჯვე რთული კომპლექსური ფიზიკური თვისებაა. მაგრამ რიგ მკვლევარებს (მაგ. ა. ტერ-ოვანესიანი) მიაჩნიათ, რომ სიმარჯვე მხოლოდ დამხმარე თვისებაა. ალბათ შემთხვევითი არც ის არის, რომ ზოგიერთ ნაშრომში (ნ. ზიმკინი. ძალის, სისწრაფისა და ამტანობის ფიზიოლოგიური დახასიათება, ნარკვევები. კრებული „მოსწავლეთა მოძრაობითი თვისებების განვითარება" ზ. კუზნეცოვის რედაქციით), რომლებიც სპეციალურად ფიზიკურ თვისებებს ეძღვნება, ავტორები საერთოდ არ იხილავენ ამ ცნებას (სიმარჯვეს).

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სიმარჯვის ზაციორსკისეულ ახსნაზე (სპორტსმენის ფიზიკური თვისებები — სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი).

დისერტაციის V თავში („სპორტსმენთა სიმარჯვის გამოკვლევა"), მიიჩნევს რა სიმარჯვეს ფიზიკურ თვისებად, ავტორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ მისი ბუნება... „ნაკლები სიზუსტითაა გარკვეული და აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს" და რომ „ექსპერიმენტული მასალის უქონლობის გამო ამ თვისებაზე წარმოდგენა უმეტესად სადავოა". მიუხედავად ამისა, ზაციორსკის შესაძლებლად მიაჩნია, მოგვცეს სიმარჯვის, როგორც ფიზიკური თვისების განმარტება. მისი აზრით, სიმარჯვე, ჯერ ერთი, „ახალი მოძრაობების სწრაფად დაუფლების უნარია", მეორე — „მოძრაობითი მოქმედების სწრაფად გარდაქმნის უნარი", მაგრამ ეს განსაზღვრა ასეთივე წარმატებით შეიძლება გავავრცელოთ ვარჯიშის დაუფლების ყველა სხვა შემთხვევაზე, რადგან ასეთი უნარი აუცილებელი პირობაა ფიზიკურ თვისებათა ყოველი კონკრეტული შერწყმისთვის. სიმარჯვის თანამედროვე განსაზღვრა ვერ უპასუხებს ამ ცნების კონკრეტულ წარმოდგენას. არ არის ნათელი, ვინ მივიჩნიოთ ფიზიკურად მარჯვედ (მაგალითად, ავიღოთ კალათბურთი. მაღალ კალათბურთელს შეუძლია ძალზე ზუსტად შეასრულოს ტყორცნა, მაგრამ ამ დროს განსაკუთრებული სიმარჯვე არ გამოიჩინოს).

ამას გარდა, ეს ტერმინი იმდენად ტევადი და ზოგადია, რომ მისი მხოლოდ ფიზიკურ თვისებად მიჩნევა უკვე გაუმართლებელი იქნება. ამასთან, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ამ ცნების სავსებით ჩამოყალიბებული (მეტად ზოგადი) ყოფითი მნიშვნელობა (მარჯვე, მოქნილი — წაიკითხე, გაქნილი — კაცი), რაც სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას ამახინჯებს.

როცა სიმარჯვეზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა უნდა ვიგულისხმოთ რთული კოორდინირებული მოძრაობითი მოქმედებების დაუფლების დონე, რომელთა შესრულების ეფექტურობაც განპირობებულია მოსწრებულობა-მოხერხებულობით, სიზუსტით, შეთანხმებულობითა და ისეთი მართლაც ფიზიკური თვისებების ურთიერთკავშირით, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, ამტანობა.

ყოველივე ზემოთქმული ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქ არა თუ რაიმე გარკვეულ, არამედ კომპლექსურ ფიზიკურ თვისებასთანაც კი არა გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს მეცადინეობის პროცესში ან ცხოვრებისეულ პრაქტიკაში მიღწეულ ძალის, სისწრაფისა და ამტანობის (საჭირო ზომით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებულ შერწყმასთან, ვარჯიშების რაციონალური დაუფლების ერთობლიობასთან, ესე იგი, ფაქტიურად, მოქმედებათა დაუფლების მაღალ დონესთან.

ამგვარად, სიმარჯვე ძირითადად პედაგოგიური პროცესის საგანმანათლებლო მხარეს ასახავს.

ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ არის სიმარჯვის ფიზიკურ თვისებად მიჩნევა, მის ნამდვილ თვისებებთან გაიგივება (ჩვენ ვუშვებთ ამ ცნების განმარტებას ზემოთ მოყვანილი ყოფითი მნიშვნელობით). ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია სიმარჯვის ფიზიკურ ვარჯიშთა კლასიფიკაციიდან ამოღება.

მომავალში ამ ცნების ზუსტი განსაზღვრა ალბათ დაკავშირებული იქნება რთულ კოორდინირებულ მოძრაობით ჩვევებთან და მათი შესაბამის დახასიათებასთან, რასაკვირველია, ფიზიკური თვისებების განვითარების გარკვეულ დონესთან დაკავშირებით.

როცა სიმარჯვე ფიზიკური თვისებების რიცხვში შეგვაქვს და ეს მოსაზრება კონტროლის კონკრეტული ზომებით არ არის განმტკიცებული, ამით მხოლოდ ვაბნევთ მწვრთნელსა და პედაგოგს.

დღეს სულ უფრო დიდი ადგილი ეთმობა პროგრამირებულ სწავლებას. ასეა ფიზიკური აღზრდის დარგშიც (სპორტული წვრთნის ჩათვლით). ამიტომ საჭიროა პედაგოგიური ამოცანების უაღრესად ზუსტი განსაზღვრა მათი თვისობრივი და რაოდენობრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, მოცემულ საკითხზე დისკუსიას გარკვეული მნიშვნელობა ექნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის თეორიისა და პრაქტიკისთვის.

ვ. ელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის გამგე.

იბეჭდება დისკუსიის წესით.

[illegible]

✦ გარდაბანი

სოფელ მუღანლოს საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში პირველობა მოიპოვეს მეცხრეკლასელებმა, ფრენბურთში — მეათეკლასელებმა.

ა. ნასიბოვი,
სკოლის დირექტორი.
ბ. ალმაზოვი,
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

ჩვენი პრიზის მე-13 გათამაშება

საქართველოში სათხილამურო სპორტული სეზონი წლეულს მეცამეტედ დაიწყება „ლელოს" პრიზის გათამაშებით. ამ ტურნირის მონაწილე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები 26-29 დეკემბერს იასპარეზებენ ბაკურიანში. ყოველი გუნდი 28 კაცით უნდა დაკომპლექტდეს (18 ვაჟი, 7 ქალი, 2 მწვრთნელი, 1 წარმომადგენელი). პირად ტურნირში დაიშვებიან პირველთანრიგოსნები და უფრო მაღალი თანრიგების სპორტსმენები შესაბამისი სპორტსაზოგადოების ან უწყების წარდგენით.

შეჯიბრების პროგრამაშია სპეციალური სლალომი, გიგანტური სლალომი, ორჭიდი, ტრამპლინიდან ხტომა, რბოლები.

ყოველ კოლექტივს ვაჟთა სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში 8 კაცის გამოყვანა შეუძლია, გუნდებს კი ჩათვლას მისცემენ ის მონაწილენი, რომლებიც 15 საუკეთესოს შორის დაიკავებენ ადგილს. ქალთა შეჯიბრებაში გუნდებს 4-4 სპორტსმენი გამოჰყავთ. ჩათვლებს მიიღებენ 8 საუკეთესოს შორის მოხვედრილნი.

როგორც ვარაუდობენ, ასპარეზობისთვის მზად იქნება ახალი 90-მეტრიანი ტრამპლინი. თუ ასე მოხდა, ტურნირი ახალ ტრამპლინზე გაიმართება, თუ არა — 40-მეტრიან ტრამპლინზე. გუნდებმა ხტომაში 4-4 მონაწილე უნდა გამოიყვანონ, ჩათვლას კი 3-3 სპორტსმენის მიერ მოპოვებული მაჩვენებლების ჯამის მიხედვით მიიღებენ.

ორჭიდში (რბენა და 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა) გუნდებს უფლება აქვთ 3-3 სპორტსმენით გამოვიდნენ, ჩათვლას კი 2-2 საუკეთესო შედეგით მიიღებენ.

მორბენალი ვაჟებისთვის წლეულს ორი დისტანციაა (10 და 15 კმ) დადგენილი. ორივე შეჯიბრების გამართვა საკავშირო ტრასაზეა განზრახული. გუნდებმა ორივეჯერ 3-3 სპორტსმენი უნდა გამოიყვანონ და 2-2 ჩათვლით დაკმაყოფილდნენ.

ქალები შარშანდელივით 3 და 5 კილომეტრზე იასპარეზებენ. 3 კილომეტრზე გუნდები 2-2 სპორტსმენით გამოვლენ (ჩათვლაში თითო საუკეთესო შედეგი შევა), 5 კილომეტრზე კი 3-3 მონაწილეზე 2-2 ჩათვლას მიიღებენ.

გუნდური შედეგების განსაზღვრისას პირად ტურნირში მოასპარეზეთა მაჩვენებლები მხედველობაში არ მიიღება.

გაგაცნობთ შეჯიბრების კალენდარს:

26 დეკემბერი ბაკურიანში მონაწილეთა ჩასვლისა და ტურნირის საზეიმო გახსნის დღეა.

27 დეკემბერს გაიმართება ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებები გიგანტურ სლალომში, 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ორჭიდელთა ხტომაში, რბოლები 5 და 10 კილომეტრზე.

28 დეკემბერს გამარჯვების საკითხი გადაწყდება ვაჟთა სპეციალურ სლალომში, ორჭიდში, 3 კილომეტრზე რბოლაში.

29 დეკემბერს ჩატარდება შეჯიბრება ქალთა სპეციალურ სლალომსა და 15 კმ-ზე რბენაში, მოეწყობა ტურნირის საზეიმო დახურვა.

სამთოსათხილამურო სპორტში გუნდური ადგილები განისაზღვრება იმ ქულათა მაქსიმალური ჯამით, რასაც მოაგროვებენ 16 (ვაჟები) და 8 (ქალები) საუკეთესოს რიცხვში შესული სპორტსმენები (I ადგილებზე გასული მოთხილამურეები გუნდებს შესაბამისად 15 და 8 ქულას აძლევენ, მეორე პრიზიორები—14 და 7 ქულას და ა. შ. თანაც, გამარჯვებულებს პრემიის სახით დაეწერებათ 4-4, II ადგილებზე გასულებს — 2-2, მესამე პრიზიორებს — თითო ქულა).

ვაჟთა და ქალთა ტურნირებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კოლექტივი, რომლის სპორტსმენებიც მეტ ქულას მიიღებენ, ოღონდ გუნდს ეწერება 1 საჯარიმო ქულა, II ადგილზე გასულ კოლექტივს— 2, III ადგილზე გასულს — 3 საჯარიმო ქულა და ა. შ.

საერთო გუნდური ადგილები ვაჟებისა და ქალებისთვის ცალცალკე გათამაშდება.

ხტომებსა და ორჭიდში საერთო გუნდური ადგილები განისაზღვრება იმ მონაწილეთა მიერ მოგროვილი ქულების ჯამით, რომლებიც გუნდს ჩათვლას აძლევენ. გუნდს, რომელიც ვერც ერთ მონაწილეს ვერ გამოიყვანს, მიეკუთვნება ბოლო ადგილი და დაჯარიმდება 1 ქულით.

რბოლებში გუნდური შედეგები ვაჟებისა და ქალებისთვის ცალცალკე განისაზღვრება ტრასაზე დახარჯული დროის უმცირესი ჯამის მიხედვით. გუნდს, რომელსაც ჩამთვლელ მონაწილეთა დადგენილი რაოდენობა არ ეყოლება, ყოველი გამოუყვანელი სპორტსმენისთვის დაეწერება ტურნირის ბოლო მონაწილის შედეგი, პლუს 5 საჯარიმო წუთი.

სამთოსათხილამურო სპორტის პირველ სახეობაში მოასპარეზენი სამ ჯგუფად დაიყოფიან შემდეგი პრინციპით: I ჯგუფში გამოვლენ სამთოსათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში რესპუბლიკის 1969 წლის ჩემპიონატსა და „ლელოს" პრიზის შარშანდელ გათამაშებაში I-III ადგილებზე გასული სპორტსმენები, აგრეთვე, თითო კაცი გუნდებიდან, II ჯგუფში — აღნიშნულ ტურნირებში IV-VIII ადგილებზე გასულნი და გუნდებიდან თითო კაცი, III ჯგუფში — ყველა დანარჩენი. მეორე სახეობაში კი პირველ სახეობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით იასპარეზებენ: I ჯგუფში — I-X, ხოლო II ჯგუფში — XI-XX ადგილებზე გასულნი და ა. შ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება „ლელოს" გარდამავალი პრიზითა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით, II და III ადგილებზე გასული კოლექტივები — ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

პირად ტურნირში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცემათ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, მეორე და მესამე პრიზიორებს — ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

ორგანიზაციების ხარჯზე ხდება მხოლოდ გუნდების მივლინება.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარი განაცხადები საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციას (თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4) უნდა წარუდგინონ ა. წ. 5 დეკემბრამდე, სახელობითი განაცხადი კი მსაჯთა კოლეგიას ადგილზე შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე მაინც.

საბედისწერო გასროლებში

სასტენდო სროლის მსოფლიო სარბიელზე ბოლო წლებში უმთავრესად ორი ქვეყანა ბატონობს: ადგილიდან სროლაში პრიორიტეტი იტალიელებს ეკუთვნით, მრგვალ სტენდზე — სსრ კავშირის წარმომადგენლებს. მაგრამ საბჭოთა მესტენდურეები მეტოქეთ არც ადგილიდან სროლაში უდებენ ტოლს. მოვიგონოთ თუნდაც ოლიმპიური თამაშების ისტორია. XVII თამაშებში ს. კალინინმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, XVIII თამაშებში პ. სენიჩევმა ეს ჯილდო ვერცხლად აქცია. მეხიკოში სენიჩევმა II და III ადგილები ამერიკელ ტ. გარიგასთან და კ. ჩეკალასთან (გდრ) დამატებით სერიაში წააგო. სამაგიეროდ, მრგვალ სტენდზე პირველივე შეჯიბრება ე. პეტროვის გამარჯვებით დამთავრდა.

კარგ ტრადიციას შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდება. ამიტომ მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადება ჩვენში მეხიკოს თამაშების დამთავრებისთანავე დაიწყო. ამ მზადების ერთ-ერთი ეტაპია „ოლიმპიური რეზერვის" საკავშირო ტურნირი, რომელიც გასულ შაბათს დაიწყო ვარკეთილში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მონადირეთა საზოგადოების სტენდზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოებისა და უწყებათა გუნდები.

ცეცხლის ხაზზე დაიშვებიან სპორტსმენები მხოლოდ 25 წლამდე. თბილისში საასპარეზოდ პროფკავშირების (2), არმიელ მონადირეთა საზოგადოების (2), „დინამოსა" და რუსეთის მონკავშირის გუნდებმა, აგრეთვე, რამდენიმე პირად ტურნირში მოასპარეზემ, სულ 70-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი.

შეჯიბრებას თავი აარიდა საქართველოს მონკავშირმა (აღარაფერს ვამბობთ „განთიადისა" და „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოებზე, რომლებიც ახალგაზრდებს შორის ამ სახეობის განვითარებისთვის არ ზრუნავენ).

და მაინც, მასპინძლები, რომლებიც უმეტესად პროფკავშირების ნაკრები გუნდების სახელს იცავენ, ცუდად როდი გამოდიან.

ტურნირის პირველი დღე პირველ აცდენამდე შეჯიბრებას დაეთმო. ადგილიდან სროლაში ჩაება 34 სპორტსმენი, რომელთა შორის 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 16 ოსტატი, 6 ოსტატობის კანდიდატი იყო. ამ სახეობაში გამოდიოდნენ ლენინგრადელი ძმები — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალექსეი და ოსტატი ალექსანდრე კლეკოვები. პირველი არმიელთა პირველი გუნდის ღირსებას იცავს, მეორე „დინამოს" სახელით ასპარეზობს. გამოდის ძმების მეორე დუეტიც — თენგიზ და თამაზ იმნაიშვილებისა. ოღონდ ესენი პროფკავშირთა გუნდში ასპარეზობენ.

მსროლელებს 2-2 ცდის უფლება ეძლეოდათ. პირველ ცდაზე წარუმატებლობის შემთხვევაში სპორტსმენს მეორე ცდის გამოყენება შეეძლო. ეს ვარჯიში ერთობ რთულია. თუ ჩვეულებრივ ასპარეზობაში მონაწილეს შეიძლება პირველივე სამიზნეს დააცილოს, მაგრამ შემდეგ უშეცდომოდ ისროლოს და გაიმარჯვოს, აქ პირველივე შეცდომა საბედისწეროა — სარბიელს ატოვებინებს.

პირველი ცდით ალექსანდრე კლეკოვი დაწინაურდა: პირველი სერია უშეცდომოდ გაიარა — 25 სამიზნე გატეხა, მეორე სერიაში კი მან მესამე სამიზნეს ააცდინა. მეორე შედეგი ჰქონდა ოსტატ ა. ჟუკოვს (პროფკავშირები I) — 13 ქულა. თენგიზ იმნაიშვილმა 9 სამიზნე გატეხა.

მეორე ცდამ უპირატესობა მოუტანა ოსტატ ვ. ივანენკოს (პროფკავშირები I), რომელსაც პირველ ცდაზე მხოლოდ 7 ქულა ჰქონდა, მაგრამ ამჯერად 30 ქულა დააგროვა და სტენდის რეკორდი დაამყარა. როცა ნახა, რომ აჯობეს, კლეკოვმა მეორე ცდის გამოყენება სცადა, მაგრამ... მეოთხე სამიზნეს ააცდინა და საბოლოოდ II ადგილით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, ჟუკოვმა მეორე ცდაზე პირვანდელი შედეგი 23 ქულამდე აიყვანა, რამაც მას III ადგილი მოუხვეჭა.

თუ რამდენად ძნელია პირველ აცდენამდე ბრძოლაში გამარჯვება, იქიდანაც ჩანს, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კლეკოვმა 8 და 13 ქულა მოაგროვა, დინამოელმა ოსტატმა ო. ვასილიევმა კი ორივე ცდაზე პირველივე სამიზნეებს ააცდინა.

მრგვალ სტენდზე მაღალი შედეგებია ნაჩვენები. აქ გამარჯვებისთვის 25 ოსტატი, 5 ოსტატობის კანდიდატი და ამდენივე პირველთანრიგოსანი იბრძოდა. პირველივე ცდის პირველი სერია უშეცდომოდ განვლეს სპორტის ოსტატებმა ს. ლუკოვკინმა (არმიელ მონადირეთა II გუნდი) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის მეორეკურსელმა თ. მატოიანმა (პროფკავშირთა I გუნდი). სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ტ. ჟღენტს მეათე სამიზნე გადაურჩა, პირად ტურნირში მოასპარეზეებმა ნ. გოცირიძემ და გ. ჯანაშიამ — 6-6 ქულა მოაგროვეს.

ლუკოვკინისთვის მეორე სერიის მეხუთე გასროლა საბედისწერო გამოდგა — იგი ბრძოლას გამოეთიშა. მატოიანი ამჯერადაც უშეცდომოდ ისროდა. მას ლიდერობა უკვე განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. მესამე სერიაში მატოიანმა მე-8 პოზიციიდან მეთექვსმეტე სამიზნეს ააცდინა. საბოლოოდ — 64 ქულა! ეს სტენდის ახალი რეკორდია.

დამარცხებულნი მეორე ცდით შეეცადნენ რევანშის აღებას. ჟღენტმა პირველი სერიის ყველა სამიზნე გატეხა, მაგრამ მეორე სერიის პირველივე სამიზნე გაუფრინდა. სამაგიეროდ, ოსტატმა ა. სერკინმა („დინამო") II ადგილი წაართვა ლუკოვკინს. დინამოელმა 40 ქულა მოაგროვა.

მეორე დღე ადგილიდან და მრგვალ სტენდზე 100-100 სამიზნეზე სროლას დაეთმო.

ო. გელაშვილი.

* * *



სურათებზე: პირველ აცდენამდე სროლაში გამარჯვებულნი: თ. მატოიანი (ზევით) და ვ. ივანენკო.

ფოტო ავტორისა.

რამდენიმე სტრიქონით

საჩხერე

დოსააფის რაიონული კომიტეტის სპორტტექნიკურმა კლუბმა კარგი საჩუქარი მიიღო: მას საექსპლოატაციოდ გადაეცა 8-ოთახიანი ბინა.

ა. ანასაშვილი.

ფინალების ხანა

ტროლჰეტანი, 30 ნოემბერი. შვეციის პატარა ქალაქში ტარდება სკანდინავიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, სადაც უძლიერესი სსრ კავშირის ქალთა გუნდი აღმოჩნდა. საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა ზ. რუდნოვამ და ბაქოელმა რ. პოლოსოვამ გადამწყვეტ მატჩში დამაჯერებლად მოუგეს გფრ-ის ნაკრებს — 3:0.

რუდნოვამ დაამარცხა დ. შელერი — 21:17, 21:12, პოლოსოვამ — ა. შიმონი — 21:17, 21:16. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა წყვილთა შეხვედრაში კვლავ დაამარცხეს იგივე მეტოქეები — 22:20, 21:23, 21:18.

ვაჟთა ტურნირში პირველობდნენ ევროპის ჩემპიონები შვედები, რომლებმაც ფინალში მოუგეს საბჭოთა ნაკრებს — 3:2. იმ საღამოს გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ს. გომოზკოვი, რომელმაც დაამარცხა ევროპის ექს-ჩემპიონი ჰ. იუჰანსონი (21:18, 21:15) და მეტოქეთა მეორე ჩოგანი ჰ. ალსერი (21:15, 21:18).

დასასრულს უახლოვდება პირადი შეჯიბრებაც. ქალებში ჩემპიონობა უკვე დაისაკუთრა შიმონმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა თავისი თანამემამულე შელერი — 21:18, 21:14, 11:21, 15:21, 21:17. ვაჟთა ერთეულების თანრიგში საბჭოთა მოთამაშეებიდან საუკეთესო აღმოჩნდა ბათუმელი ს. ხარხოიანი. იგი ნახევარფინალამდე მივიდა, სადაც წააგო უნგრელ ტ. კლამპართან—21:17, 18:21, 18:21, 14:21. ახლა, როგორც ეს მოხდა ამ ერთი თვის წინ უნგრეთის ღია ჩემპიონატში, უნგრელი ჩოგბურთელი ფინალში იუჰანსონს შეხვდება.

ფინალში გავიდა საბჭოთა წყვილი: რუდნოვა — პოლოსოვა. აქ მათ შეხვდებიან ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები, რუმინელები მ. ალექსანდრუ და ე. მიხალკა.

(საკდესი).

დარჩა დასკვნითი ტური

გროზნო, 1 დეკემბერი **(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** ჭადრაკში სსრ კავშირის გუნდური პირველობის VII ტურში საქართველოს წარმომადგენლები დაწინაურდნენ რუსეთის ფედერაციის გუნდთან შეხვედრაში—3,5:1,5 (7), გუფელდმა მოუგო ა. ზაიცევს, ხოლო უბილავამ — სვეშნიკოვს. ყაიმით დამთავრდა გიორგაძე — ანტოშინის, მიქაძე — ზახაროვის, კობაიძე — ალიოხინას პარტიები. შვიდ გადადებულ პარტიაში ჩვენს მოჭადრაკეებს 4 ქულის მოგროვება შეუძლიათ.

დანარჩენი მატჩების შედეგებია: ბელორუსია—აზერბაიჯანი 6,5:2,5 (3), ყაზახეთი — უკრაინა 3,5:4,5 (4), ლენინგრადი—ლატვია 4,5:5,5 (2).

VIII ტურში საქართველოს მოჭადრაკეები თამაშიდან თავისუფალი იყვნენ. აი, ამ დღის შეხვედრების ანგარიშები: აზერბაიჯანი — რსფსრ 4:4 (4), უკრაინა — ბელორუსია 3:4 (5), ლატვია — ყაზახეთი 6,5:2.5 (3), მოსკოვი — ლენინგრადი 4,5:2,5 (5).

ზოგიერთ გადადებულ პარტიაში თამაშის განუახლებლად შედეგის ფიქსირებამ გაარკვია VI ტურში დაუმთავრებელი ორი მატჩის საბოლოო შედეგი: ლატვია — მოსკოვი 4:8. აზერბაიჯანი — ყაზახეთი 4,5:7,5.

8 ტურის შემდეგ ლენინგრადის გუნდს 53 ქულა და 7 გადადებული პარტია აქვს (მან დაამთავრა ტურნირი), ლატვიის ნაკრებს — 44,5 (5), უკრაინის კოლექტივს — 43,5 (9), მოსკოველებს — 42 (5), რსფსრ-ს გუნდს — 40,5 (11), საქართველოს ნაკრებს — 39,5 (7).

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 11 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავართიანის სამსვლიანი საჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: გ. დოლიძემ (მახარაძე), ბ. უგრელიძემ (ქუთაისი), ი. ქვლივიძემ (საგარეჯო), რ. კახაძემ (ბათუმის რაიონი, სოფ. ქვედა ჩხუტუნეთი).

ამოცანის ამოხსნაა: **1. ლg6** მფb2 2. ლc2+. როცა მეფე გადაადგილდება a4-დან c4-ზე **1. a4** c3 2. ლb3, ხოლო, როცა მეფე a5 c3-ზე, მაშინ 1. კc2 მფa2 **2. ლb4.**

ყოველი მხრიდან

გულშემატკივრები ხულიგნების წინააღმდეგ

ამას წინათ ვწერდით, რომ ინგლისის „საფეხბურთო ხულიგნები" ქვეყნის ჩემპიონატის მატჩების დღეებში განსაკუთრებით უხეშად და თავაშვებულად იქცევიან.

ახლა ინგლისურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საინტერესო ცნობა: ინგლისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, რომელიც აღშფოთებულია ფეხბურთის ამ ვაი-მოყვარულთა აშკარა ვანდალიზმით, ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადა ხულიგნებს. წინა კვირას ლონდონში შედგა ფეხბურთის გულშემატკივართა ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე კრება, რომელსაც დაესწრნენ ინგლისის თითქმის ყველა (92) კლუბის — ოთხ ლიგაში ქვეყნის პირველობის მონაწილეთა წარმომადგენლები. ესენი იყვნენ ნამდვილი ფეხბურთის მოყვარულები, რომელთაც ამჟამად აერთიანებდათ ერთი მიზანი: თავაშვებულ ხულიგნებთან ბრძოლა.

კრების მონაწილეებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს ხულიგანთა ალაგმვის მიზნით, მაგრამ მათ შორის ყველაზე ეფექტური და კონკრეტული იყო ბრისტოლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ა. გუჩის აზრი. იგი იძლევა წინადადებას, რომ მატჩების დღეებში შეიქმნას მოხალისეთა რაზმები, რომელთაც ევალებათ მორიგეობა მატარებლებზე, რათა ბანდიტური გამოხდომები თავიდან იქნას აცილებული. ბრისტოლის წარმომადგენელმა განაცხადა: დროა დამთავრდეს დისკუსია ხულიგნობის ირგვლივ, წესრიგის დამრღვევნი მკაცრად უნდა დაისაჯონ. პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მისი უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლება.

● ●

რეკლამისთვის

ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კოშკიდან წყალში ხტომაში ჰ. ფრობისმა გადაწყვიტა 70 წლის იუბილე უჩვეულო ხერხით აღენიშნა. სასეიროდ თავშეყრილი ბრბოს წინაშე ფრობისი შვეულმფრენიდან ციურიხის ტბაში ჩახტა. მოხუცმა 40 მეტრზე იფრინა და წყლის ზედაპირზე გულაღმა დაეცა. მაყურებლებს ეს თავისებური ხერხი ეგონათ, მაგრამ როცა შეატყვეს, რომ ფრობისი აღარ ინძრეოდა, მაშინ კი გამოფხიზლდნენ. პოლიციის მაშველ ნავზე მიხვდნენ, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო.

ნავს ერთი წუთიც რომ დაჰგვიანებოდა, საჰაერო აკრობატს უკვე ვეღარ უშველიდნენ. გონდაკარგული მოხუცი სასწრაფოდ ჰოსპიტალში წაიყვანეს. რამდენიმე საათის შემდეგ დაბნეული ფრობისი კოჭლობით წარსდგა ჟურნალისტთა წინაშე.

საინტერესოა ფრობისის ბედი: სამუშაოს ძებნაში მან ტრიუკებით აღსავსე ფილმებში დაიწყო მონაწილეობა. ფრობისი დიდი გასამრჯელოს ფასად სასწორზე აგდებდა სიცოცხლეს. იგი ხტებოდა გაქანებული მატარებლიდან, მგზავრობდა ცეცხლმოკიდებული მანქანით, ვარდებოდა ხიდიდან. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში ხდებოდა. 1924 წელს პარიზის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ბუნდოვნად შემორჩა მეხსიერებას. და აი, 70 წლის კაცმა შვეულმფრენიდან გადმოხტომა გადაწყვიტა. კიდევ ბედი, მშვიდობით გადარჩა. მაგრამ ვინ არის თავდები, რომ კოკა ყოველთვის მოიტანს წყალს?

• • •

სურათზე: კადრები ფრობისის „იღბლიანი ტრიუკიდან".

ფოტო „ბუნტე ილიუსტრირტე" — აას-ისა.

სიკვდილი მატერჰორნზე

ინგლისელ მებათქაშეს არტურ კლარკსონს ვაჟი შეეძინა. ბიჭს როი დაარქვეს. ახალგაზრდა მამამ განაცხადა, შვილი მთამსვლელად უნდა გავზარდოთ. რამ ჩააგონა კლარკსონს ეს აზრი, კლდეზე ცოცვის სიყვარულმა თუ თავის გამოჩენის სურვილმა, უცნობი დარჩა.

როგორც კი ჩვილი რამდენიმე თვის გახდა, მთელმა ოჯახმა დაიწყო სეირნობა ლანკაშირის საგრაფოს მთიან ადგილებში. სეირნობდნენ დედა, მამა და მათი პირმშო. პატარა მამის ზურგჩანთაში იჯდა. თავისი პირველი მწვერვალი როიმ დამოუკიდებლად დაიპყრო, როცა 3 წლისა იყო. 6 წლისა უკვე კარგად იცნობდა ახლომდებარე კლდეებს. მამა ყოველნაირად უწყობდა ხელს ვაჟის გატაცებას: აჩუქა დამცველი ჩაფხუტი, ნეილონის თოკი, ალპინისტური აღჭურვილობა, თავად რეგულარულად წვრთნიდა ციცაბო კლდეებსა და ეკლესიის გუმბათებზე ცოცვაში. ბიჭი დაძვრებოდა სახლის სახურავებზე, „იპყრობდა" ქალაქის ქარხნის მილებს. მამა მას წვრთნიდა კუნძულ ორკნის (დიდი ბრიტანეთი) მთებშიც.

პირველი მარცხი როის 7 წლისას მოუვიდა — მამასთან ერთად ქარხნის მილზე ადიოდა და უეცრად დაცურდა. იგი მაშინ სიკვდილისგან თოკმა იხსნა. ვარჯიში დროებით შეწყდა, მაგრამ შემდეგ არტურ კლარკსონს ახალი იდეა გაუჩნდა: მან გადაწყვიტა თავის ვაჟთან ერთად ასულიყო მატერჰორნზე — 4478-მეტრიან მწვერვალზე, რომელიც მთელი წლის მანძილზე თოვლითა და ყინულითაა დაფარული. მარტო წლეულს ამ მწვერვალზე 7 მთამსვლელი დაიღუპა.

კლარკსონმა ცოლის ნებართვა მიიღო და როი შვეიცარიაში წაიყვანა. გაიშვიათებულ ატმოსფეროში 8 წლის ბავშვს ჯერ კიდევ უჭირდა სუნთქვა, მაგრამ მამას არ სურდა ასვლა გადაედო. ბოლო იერიშის წინ ისინი სოფელ სოლვაიჰიუტში 4003 მეტრის სიმაღლეზე გაჩერდნენ ღამის გასათევად. უკანასკნელად მამა-შვილი შვეიცარიელმა მეგზურმა ნახა. იგი კლარკსონებს დილის ხუთ საათზე დაემშვიდობა სოლვაიპლატზე, მატერჰორნის პიკიდან 300 მეტრით დაბლა. ავდარი იდგა და მწვერვალი სქელ თეთრ ნისლში იყო გახვეული. მეგზურმა ინგლისელებს ურჩია გადაედოთ იერიში, მაგრამ 33 წლის არტური მტკიცედ ადგა თავის სიტყვას. მას შემდეგ მამა-შვილზე არაფერი იციან. შეიძლება ქარიშხალმა მოსწყვიტა ისინი მატერჰორნის ფერდობს, შეიძლება ზვავმა დაიტანა...

ძებნა უშედეგო გამოდგა. მწვერვალის აღმოსავლეთ კედლის ძირში მხოლოდ როის ჩაფხუტი იპოვნეს.

ბოლოს და ბოლოს, შვეიცარიის პოლიციამ განაცხადა: გაზაფხულამდე დავიცადოთ, სანამ ხეობაში თოვლი გადნებოდეს.

• • •

სურათებზე (გადმობეჭდილია ჟურნალ „ქვიკიდან"): როი და არტურ კლარკსონები; მატერჰორნის მწვერვალი (წყვეტილი ხაზით აღნიშნულია მთამსვლელთა მარშრუტი, თეთრი წრით — ადგილი, სადაც მამა-შვილი უკანასკნელად ნახეს).

„ასიანთა კლუბის" რიგები იზრდება

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში

●

დამთავრდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ეტაპი — მეთექვსმეტედფინალი.

ქალთა ტურნირის მთავარი სენსაციის ავტორი სრულიად მოულოდნელად გახდა საფრანგეთის ჩემპიონი „კლერმონ ფერანი", რომელმაც ორივე კალენდარული მატჩი მოუგო პორტუგალიის „აკადემიკას". თვით ფაქტი ფრანგების გამარჯვებისა არავის გაკვირვებია. სენსაციური იყო ამ გამარჯვების მათემატიკური გამოხატულება, ანუ შედეგი, რომლის მსგავსს ქალთა კი არა, ვაჟთა ტურნირებშიც იშვიათად შეხვდებით.

საფრანგეთის ჩემპიონმა პირველი მატჩი მეტოქეს მოუგო ანგარიშით 109:28 და ტურნირის რეკორდი დაამყარა. მაგრამ რეკორდმა მხოლოდ რამდენიმე კვირას იარსება: ლისაბონში პორტუგალიელებმა კიდევ უფრო მწარე მარცხი იწვნიეს — 20:121. როგორც ჩანს, სწორია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთი წევრი, რომელიც ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე მკაცრ კონტროლს მოითხოვს. „კლერმონ ფერანი" თავისთავად ფავორიტი არაა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალთა როგორი თანაფარდობა იქნებოდა, „აკადემიკას" რიგის ტტტ რომ შეხვედროდა!

ქალთა ტურნირში არ შედგა მხოლოდ ერთი მატჩი. ალბანეთის ჩემპიონმა უარი თქვა იუგოსლავიის „ვოივოდინასთან" თამაშზე. ალბანელებს ასეთი კურიოზი პირველად არ მოსდით: განაცხადებენ თანხმობას, გაგზავნიან განაცხადს საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე, შემდეგ მოხდება რაღაც გაუთვალისწინებელი და მათი მეტოქე უბრძოლველად იწერს გამარჯვებას. შესაძლოა, ალბანელები ხელმძღვანელობენ მოტივით: „მაინც წაგაგებდითო". მაშინ რაღა აზრი აქვს წინასწარ თანხმობას და კენჭისყრაში მონაწილეობას?

გუნდებმა, რომლებმაც გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მიიღეს, შედარებით იოლად მოიგეს ორივე მატჩი შინ და სტუმრად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას მხოლოდ ღირსეულები განაგრძობენ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი მატჩის შედეგი. რუმინეთის ჩემპიონმა „რაპიდმა" შინ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო თელ-ავივის „ჰაპოელს" (83:51), სტუმრად კი იგი მთელი რიგი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ისრაელის კალათბურთელებმა, ბოლოს და ბოლოს, რევანშსაც მიაღწიეს (60:59), მაგრამ ერთქულიანმა სხვაობამ მათ მხოლოდ წამიერი კმაყოფილება მოუტანა. „რაპიდი" გულდამშვიდებით განაგრძობს ბრძოლას, ვინაიდან პირველი შეხვედრა 32 ქულის უპირატესობით აქვს მოგებული.

თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, უნგრეთის მტკ-მ (დაამარცხა თურქეთის ჩემპიონი — 81:51 და 88:39), იტალიის „ვიჩენცამ" (დაამარცხა გფრ-ის ჩემპიონი — 84:60 და 62:42), შოტლანდიის ცრეფფ-მ (დაამარცხა ესპანეთის „ალ ბლაკსი" — 72:49 და 58:15), ავსტრიის „ფაიერსტონმა" (დაამარცხა ბელგიის ჩემპიონი „ქელას დე განდი" — 68:58, 60:54), ჩეხოსლოვაკიის „სპარტამ" (დაამარცხა შვეციის „რიტერ-მერბუ" — 73.33, 87:47). მერვედფინალში ითამაშებენ, აგრეთვე, სოფიის „აკადემიკი" და რიგის ტტტ.

ვაჟთა გუნდების თავდასხმის სიძლიერეს კარგა ხანია სამნიშნა ციფრებით ზომავენ. მიაღწევ ამ თავისებურ საკონტროლო ასეულს და თამამად შეგიძლია თქვა: თავდასხმამ ყველაფერი იღონა გამარჯვების მისაღწევად. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, მაგრამ მაგიური ასიანისკენ ყველა გუნდი მიიწევს.

100 ქულა კალათბურთის განვითარების დღევანდელ ეტაპზე პრობლემა აღარაა. ჩემპიონთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში 7 გუნდის თავდასხმა აღმოჩნდა, თუ შეიძლება ითქვას, მოწოდების სიმაღლეზე. კიდევ ოთხ შემთხვევაში საკონტროლო ასეულამდე მიღწევას მხოლოდ ერთი ათეული დააკლდა.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი შედეგით დამთავრდა ბელგიისა და შოტლანდიის ჩემპიონების განმეორებითი მატჩი. პირველი შეხვედრა „რესინგმა" (ბელგია) ბრიუსელში სარეკორდო ანგარიშით მოუგო „მორომიურს" (შოტლანდია) — 123:84. საპასუხო მატჩში თავი შოტლანდიელებმაც ისახელეს და 40 წუთის მანძილზე 120 ქულა დააგროვეს. მაგრამ „რესინგმა" ამჯერად თავის თავსაც კი გადააჭარბა და, თუ არ ვცდები, ევროპის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — მეტოქეს 144 ქულა აართვა.

მსგავსი ანგარიში (144:120) ხშირია აშშ-ს პროფესიული კლუბების შეხვედრებში. მაგრამ ამ კლუბების ოსტატობის დონე, როგორც წესი, მუდამ შეესაბამება შედეგს. შოტლანდიისა და ბელგიის კალათბურთელთა შეხვედრაში, ჩვენი აზრით, თავდამსხმელები იმდენ ქებას არ იმსახურებენ, რამდენ საყვედურსაც — მცველები. ან უფრო ზუსტად: ამ მატჩში არც ერთი მეტოქე ოდნავაც არ ზრუნავდა დაცვაზე. თამაში, როგორც ჩანს, ერთი მიმართულებით ვითარდებოდა — ვინ მეტ ბურთს ჩააგდებდა.

„ასიანთა კლუბს" კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა. ესაა ავსტრიის ჩემპიონი „აისკლუბი", რომელმაც შინ ანგარიშით 100:74 დაამარცხა თურქეთის „გალათასარაი". თურქეთში კი უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — 70:49.

საპატიო თასის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ესპანეთის „რეალ-მადრიდმა" ასევე ასტრონომიული ანგარიშით მოუგო თავის უახლოეს მეზობელს, პორტუგალიის „სპორტინგს" — 128:76. სამაგიეროდ, ლისაბონში „საკონტროლო ნორმატივამდე" მას მხოლოდ 2 ქულა დააკლდა — 98:52.

„ასიანთა კლუბის" მეშვიდე წევრი, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" — წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ასევე განთქმულია თავდამსხმელთა შედეგიანობით. ამიტომ მისი დამაჯერებელი გამარჯვებები ლუქსემბურგის „სპარტასთან" (112:92 და 129:84) არავის გაკვირვებია.

დანარჩენი ორთაბრძოლებიც ღირსეულმა გუნდებმა მოიგეს: რუმინეთის „დინამომ" (დაამარცხა ალბანეთის „პარტიზანი" — 70:65, 95:76), უნგრეთის „ჰონვედმა" (დაამარცხა გფრ-ის ჩემპიონი ვფლ — 88:74 და 92:59), ფინეთის „ტაპიონ ხონკამ" (დაამარცხა შვეციის „ჰელსინგბორგი" — 73:67 და 75:65) და პოლონეთის „ლეგიამ" (დაამარცხა ჰოლანდიის ჩემპიონი „პანჩო" — 80:74 და 84:79).

საფრანგეთის „ვილერბანთან" სათამაშოდ ტუნისის ჩემპიონი არ გამოცხადდა. ფრანგებმა უბრძოლველად მიიღეს გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება. მერვედფინალში ითამაშებენ, აგრეთვე, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი მოსკოვის ცსკა და სოფიის „აკადემია".

ნ. გუგუშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული სასახლე

სასტენდო სროლა. ვარკეთილი. 2 დეკემბერი. ახალგაზრდა სპორტსმენთა საკავშირო ტურნირი „ოლიმპიური რეზერვის" პრიზზე. დასაწყისი 10 ს. (ტრანსპორტი: 300 არაგველის მეტრის სადგურიდან №№ 38 და 38-ა ავტობუსებით).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 11530